სამუზეუმო მასალები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ეფექტიანობისათვის



მოამზადა მაია ინასარიძემ

მუზეუმების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნები

- ასწავლოს მოსწავლეებს სამუზეუმო ექსპონატების ისტორიულ-კულტურული კონტექსტის დანახვა, მათი შეფასება, რათა გამოიყენოს ისინი პრიმიტიული მასკულტურის საწინააღმდეგოდ.
- ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს ღირებულებითი დამოკიდებულება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.
- დაანახვოს კავშირი ისტორიულ-კულტურულ ეპოქებს შორის და დაეხმაროს თანამედროვე კულტურის გააზრებაში.
- ჩამოუყალიბოს კულტურის ძეგლებთან ურთიერთობის ჩვევები.
- განუვითაროს ესთეტიკური ტკბობის, თანაგანცდის უნარი.



მუზეუმების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნები

- ჩამოუყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო კულტურის მიმართ, ასწავლოს განსხვავებულის მიმღებლობა;
- სხვადასხვა ერისა და ეპოქის კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარებით განუვითაროს გარესამყაროს აღქმისა და შემეცნების უნარი, მრავალმხრივი ხედვა;
- ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებას, რადგან კულტურული მემკვიდრეობის დამფასებელი მომავალი თაობა არა მარტო გაუფრთხილდება მას, არამედ ექნება ერთგვარი მასტიმულირებელი საშუალება ახალი შემოქმედებითი იდეებისათვის.



მუზეუმის საგანმანათლებლო ამოცანები

- თვალსაწიერის გაფართოება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შემეცნებითი ინტერესის აღძვრას;
- ემოციური და ესთეტიკური აღქმის, თანაგანცდის უნარის განვითარება;
- მუზეუმში მოქცევის წესების დაუფლება, კულტურულ მემკვიდრეობასთან ურთიერთობის სწავლება;
- სხვისი კულტურის მიმღებლობის ჩამოყალიბება და კულტურათა შორის დიალოგის შესაძლებლობა.



სამუზეუმო ექსპონატების ფუნქციები

- **ინფორმაციული** (ის არის ინფორმაციის წყარო);
- **ატრაქტიული** (ანუ მიმზიდველი; ყურადღების მიქცევისა და ინტერესის აღძვრის საშუალება);
- **ექსპრესიული** (ასოციაციების გამოწვევისა და ემოციური ზემოქმედების საშუალება).

რა შეიძლება იყოს მოცემული ექსპონატი?

შაჰ-სულთან ჰუსეინის ბრძანებულება კახეთში მოთარეშე დაღესტნელების დასჯის შესახებ
1705.

აღმოსავლური თეთრი ქაღალდი, ზომები:
56,2 X 25 სმ

ტექსტი დაწერილია შავი მელნით, ცენტრში - შაჰის პატარა ოთხკუთხა ბეჭედი.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რა შეიძლება ვთქვათ ამ დოკუმენტის მიხედვით:

- პერიოდზე/ეპოქაზე?
- სპარსულ კულტურაზე?
- ეკონომიკაზე?
- კიდევ რა ინფორმაციას გვაწვდის?..


ლიტერატურის მუზეუმის ფონდები
ხელნაწერთა ფონდი
იკონოგრაფიული ფონდი
უნიკალურ წიგნთა ფონდი



ეს არის ფრაგმენტი უბის წიგნაკიდან. როგორ ფიქრობთ, ვის ეკუთვნის ეს უბის წიგნაკი? რატომ ფიქრობთ ასე? პასუხი დაასაბუთეთ.

ვაჟა-ფშაველას
უბის წიგნაკი

1907-1914 წლები





ეს არის ერთ ეპოქაში მოღვაწე ორი ცნობილი ქართველი პოეტის ჩანახატები. ისინი მეგობრობდნენ, თუმცა ერთგვარად მეტოქეობდნენ კიდეც. ორივე ტრაგიკული პიროვნება იყო... დაასახელეთ ეს ავტორები.

ტერენტი გრანელი
და გალაკტიონ ტაბიძე

შეკითხვა, რომელიც შეიძლება დავუსვათ მოსწავლეებს:
რა შეგიძლიათ თქვათ ამ ნახატების მიხედვით მათ ავტორებზე?
პასუხების შემდეგ წააკითხეთ მათ საინტერესო სტატია - ტერენტი გრანელი და გალაკტიონი
http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/statiebi/galaktioni_da_graneli.htm

იკონოგრაფიის ფონდი
ფოტოკოლექცია
სახვითი ხელოვნების კოლექცია
მემორიალური ნივთების კოლექცია

ფოტოები

ნახატები

ლადო გუდიაშვილი

სულხან-საბა
ორბელიანის „გლახაკი
და ქილა ერბოს“
ილუსტრაცია

ელენე ახვლედიანი, „კაცია ადამიანის“ ილუსტრაცია

ოსკარ შმერლინგი
-
აკაკი წერეთელი
და ივანე
კერესელიძე

ბარბარე ჯორჯაძის მარაო

აკაკი წერეთლის საათი

ალექსანდრ გრიბოედოვის მიერ ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საწერი მოწყობილობა

ალექსანდრე ჭავჭავაძის
გერბი და საბეჭდავი

მემორიალური ნივთები

დიმიტრი ყიფიანის საფულე

დავალება, რომელიც შეიძლება მივცეთ მოსწავლეებს:

აირჩიეთ სლაიდზე მოცემული ნივთებიდან ერთ-ერთი
და დაწერეთ
„გვიამბობენ ნივთები“...
ფორმატი - თავისუფალი.

გთავაზობთ მოსწავლეთა კვლევითი უნარების განსავითარებლად სამუზეუმო მასალების გამოყენების ერთ მაგალითს. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს, რომლებიც უნდა დაახარისხონ მომდევნო სლადზე მოცემული ცხრილის მიხედვით. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ საკვლევად აირჩიონ ცალკეული სფერო / კატეგორია.

ვაჟა-ფშაველას პირადი არქივი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ვაჟა-ფშაველას პირადი არქივი. დააკვირდით წარმოდგენილ მასალას და დაახარისხეთ ის კატეგორიების მიხედვით

ბიოგრაფიის ამსახველი მასალა	საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა	შემოქმედება	მიმოწერა
1	2	3	4

ფოტომასალა	სხვადასხვა
5	6

გაეცანით სიტუაციას და გააანალიზეთ ის თანდართული მითითებების მიხედვით.

ნოემბრის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეები კინოსა და თეატრის მუზეუმში წაიყვანა ექსკურსიაზე. მისი მიზანი იყო, აქ წარმოდგენილი ექსპონატების გაცნობის შემდეგ კლასში დაბრუნებულ მოსწავლეებს საინტერესო ექსპონატების საფუძველზე მათთვის სასურველი წერილობითი ფორმით (ეს შეიძლება ყოფილიყო ესე, ჩანახატი, ამონარიდი მემუარებიდან, დღიური და ა.შ.) გადმოეცათ ნანახით მიღებული შთაბეჭდილება. ექსკურსიის შესახებ მოსწავლეებმა წინა დღეს შეიტყვეს, ამიტომ ბევრმა მათგანმა ვერ მოასწრო დღის გადაგეგმვა. გიორგის ფეხბურთზე ეჩქარებოდა, ნინის და თიკოს - ცურვაზე, თათას სახლში ოთხ საათზე ინგლისურის მასწავლებელი მოუვიდოდა, ოთოს კი ცეკვის გაკვეთილი ჰქონდა. ამიტომ წამდაუწუმ კითხულობდნენ, რა დროაო? ზოგიერთი დარბაზში ისე შევიდა, ქურთუკები არც გაუხდია. ზოგს ზურგჩანთა ეკიდა, ამიტომ ხელს უშლიდა მის ზურგს უკან მდგომს ექსპონატის დათვალიერებაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ინტერესით ათვალიერებდნენ ექსპონატებს და ემოციებს ხმამაღლა გამოხატავდნენ. ელისომ ნათიას გასძახა: „მოდი, აქ იმ ქალის ნივთებია, რომელსაც ეს შენობა აუშენა შეყვარებულმა ბარონმა!“ გიო და დათო იაკობ გოგებაშვილის ნაქონი ავეჯით დაინტერესდნენ და სავარძელზე მოკალათება გადაწყვიტეს...
გიდს მობეზრდა მოსწავლეებისათვის შენიშვნების მიცემა და მასწავლებელს საყვედური უთხრა: მუზეუმში თუ მოგყავდათ, მანამდე მოსწავლეებისათვის მუზეუმში ქცევის წესები უნდა გაგეცნოთო.
მეორე დღეს მასწავლებელი გაკვირვებული და ნაწყენი დარჩა, რადგან მოსწავლეებმა საკლასო დავალება უხალისოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით შეასრულეს.

1. რა შეცდომა დაუშვა მასწავლებელმა?	
2. რატომ ვერ მიაღწია მან დასახულ მიზანს?	
3. თქვენი აზრით, მუზეუმში ქცევის რომელი წესები დაირღვა?	

მუზეუმში მოქცევის წესები

- შეეცადეთ, მუზეუმისათვის გამოყოთ საკმარისი დრო იმისათვის, რომ არსად გეჩქარებოდეთ.
- სასურველია, მუზეუმის დათვალიერებამდე გაეცნოთ მუზეუმის გზამკვლევს ან/და კატალოგს, რომ უკეთ დაგეგმოთ დათვალიერების პროცესი.
- დატოვეთ არასაჭირო ნივთები (მაგალითად, დიდი ზომის ჩანთა, ქოლგა და ა.შ.) მუზეუმის გარდერობში.
- მოიქეცით თავშეკავებულად, მშვიდად. მიუღებელია ხმამაღალი ლაპარაკი, გადაძახება. არ არის სასურველი საკუთარი შთაბეჭდილებების გამოხატვა ზედმეტი ემოციებით. ასევე, არ არის სასურველი ხელების ზედმეტი მოძრაობა, თუნდაც რამის მისათითებლად.
- არ დადგეთ დამთვარიელებლების წინ, არ შეუშალოთ ხელი სხვას დათვალიერებაში.
- ყურადღებით მოუსმინეთ გიდს. თუ თქვენთვის მისი საუბარი ნაკლებად საინტერესოა, მოიქეცით ისე, რომ ხელი არ შეუშალოთ სხვებს.
- არ შეეხოთ ხელით ექსპონატებს.
- თუ თქვენ გაგიჩნდათ შეკითხვები ექსკურსიის დროს, არ შეაწყვეტინოთ საუბარი გიდს. დაუსვით შეკითხვები მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის დაამთავრებს საუბარს.
- შეიკავეთ თავი მაშინაც კი, როცა არ მოგეწონათ ექსპონატი. არ არის საჭირო უარყოფითი ემოციის ხმამაღლა გამოხატვა.
- და სხვა.... (შეგიძლიათ დაამატოთ).

იხილეთ მუზეუმების ჩამონათვალი მოცემულ ბმულზე

შეგიძლიათ წაიკითხოთ სტატიები სამუზეუმო მასალების საგანმანათლებლო დანიშნულებით გამოყენების შესახებ:

1. მაია ფირჩხაძე

სამუზეუმო განათლება და ინტერდისციპლინარული ინტეგრაცია, https://mastsavlebeli.ge/?p=1804

2. მაია ინასარიძე

მუზეუმები - სწავლების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება იხილეთ მოცემულ ბმულზე

გმადლობთ ყურადღებისათვის!